პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
22 აპრილი
1939 წ.
№ 92 (5492)
ფასი 10 კაპ.

ახალი ბოლშევიკური საქმეებისათვის, ამხანაგო კომკავშირელებო!

დღეს „პრავდაში“ ქვეყნდება საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საკ. ალკკ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ“. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელოვანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის მთელი საქმიანობისათვის. ეს ღონისძიებანი ასახავენ იმ ისტორიულ ამოცანებს, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ დაუსახა პარტიასა და ხალხს ჩვენს ქვეყანას. კომკავშირი თავისი განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ახალ ხანაში შედის.

გმირული კომკავშირი მუდამ მიჰყვებოდა ლენინ-სტალინის პარტიას, მისი ხელმძღვანელობით იღებდა მონაწილეობას სოციალიზმის დიადი შენობის აშენებლობაში. კომუნისტური პარტია, ბოლშევიკური ხელმძღვანელობა მუდამ წარმოადგენდნენ კომკავშირის ძალის, მისი იდეური ზრდის, მისი შესანიშნავი საქმეების წყაროს. კომკავშირი მუდამ იყო და რჩება ბოლშევიკური პარტიის საიმედო რეზერვი და მებრძოლი თანაშემწე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და დახმარებით განადგურებულ იქნა ხალხის საზიზღარი მტრების ბუდეები კომკავშირში. გაანადგურა და მოსპო რა მტრის ბუდეები, კომკავშირი კიდევ უფრო მჭიდროდ დაარაზმა ბოლშევიკური პარტიის გარშემო და ახლა მძაფრ შემობრუნებას ახდენს მთელ თავის მრავალფეროვან მუშაობაში, ანმტკიცებს თავის მრავალმილიონიან ორგანიზაციას, როგორც ხელმწიფოებრივი მოღვაწეობის სკოლას.

საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ჩაწერილია:

„საკ. ალკკ პარტიის აქტიური თანაშემწეა მთელს სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში. კომკავშირული ორგანიზაციები საქმით უნდა იყვნენ პარტიული დირექტივების აქტიური გამტარებლები სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, განსაკუთრებით იქ, სადაც პირველადი პარტიული ორგანიზაციები არ არსებობს“.

პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი უდიდეს ასპარეზს ჰქმნიან კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობისათვის, ახალ ფართო გზას უხსნიან კომკავშირს. „ახალგაზრდობის კავშირის წევრებად ყოფნა ნიშნავს — საქმე ისე წარმართო, რომ შენი შრომა, შენი ძალღონე საზოგადო საქმეს მოახმარო“. (ლენინი). ახლა კომკავშირის მთელი ძალები წარმართულ უნდა იქნას იქითკენ, რომ კიდევ უფრო მეტი აქტივობით დაეხმაროს პარტიასა და მთავრობას სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებაში, დაიცვას სოციალისტური საკუთრება, განამტკიცოს შრომის დისციპლინა, გააფართოოს სტახანოვური მოძრაობა და გაადიდოს შრომის ნაყოფიერება. კომკავშირი ვალდებულია გაშალოს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებათა ფართო ახსნა-განმარტება კომკავშირელთა შორის და მთელ საბჭოთა ახალგაზრდობაში, დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ მთელს მოსახლეობაში ჩაატარონ ეს მუშაობა.

ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა მუდამ საბრძოლო მზადყოფნით ახმარებდა თავის ნიჭს, თავის ენერგიზმს ლენინ-სტალინის კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. კომკავშირი მუდამ იყო სოციალისტური შეჯიბრების თაოსანი, მისი სული და გული. ჩვენი მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ახალგაზრდობა ნამდვილი ხალხური გმირობის სასწაულებს გვიჩვენებდა. ეს გმირობა და ენერგიზმი ახალი ძალით უნდა გავალენოთ ახლა, როდესაც საბჭოთა ქვეყანა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ხანაში შევიდა. ჩვენი ქვეყანა კომკავშირისაგან ელის ახალ დიდ საქმეებს, შემოქმედებითი ინიციატივისა და ენერგიის ახალ წვლილს მესამე სტალინური ხუთწლედის საქმეში.

ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა ამ მუშაობას უკვე შეუდგა. ყოველ დღეს ჩოაქვს ცხობები ახალი შრომითი გმირობის შესახებ, იმის შესახებ, რომ ფართოვდება ახალგაზრდობის შეჯიბრება. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საპროექტორო ქარხნის ახალგაზრდობისა და ტულის ოლქის სოფლის მეურნეობის იმ მოწინავეთა ინიციატივა, რომლებმაც ხელი ჩასჭიდეს მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების დროშას. **მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ჩაბას ამ შეჯიბრებაში, უზრუნველჰყოს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ბოლშევიკურად შესრულება — ასეთია კომკავშირის ამოცანა.**

კომკავშირი სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალგაზრდა კოლმეურნე ქალთა და ვაჟთა ბრძოლას 1939 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. კომკავშირის საბრძოლო ამოცანაა — სათავეში ჩაუდგეს წარჩინებულ ტრაქტორისტ ქალთა ინიციატივას დიდი სახელმწიფოებრივი, თავდაცვითი მნიშვნელობის მუშაობაში: წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოამზადოს 100 ათასი ტრაქტორისტი ქალიშვილი.

პლენუმმა მრავალმილიონიან კომკავშირს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა სახელმწიფოსათვის უაღრესად აქტუალური პრობლემების გადაჭრაში: შორეულ აღმოსავლეთის დასახლებასა და მის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებაში, იმაში, რომ ახალი კადრებით დაეხმაროს ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას. კომკავშირის ღირსების საქმეა ეფექტიურად გამოეხმაუროს ამხანაგ სტალინის მოწოდებას იმის შესახებ, რომ ყოველწლიურად დაახლოებით მილიონნახევარი ახალგაზრდა კოლმეურნე გავგზავნოთ კოლმეურნეობებიდან მრეწველობაში. მთელი კომკავშირის, მთელი მოწინავე ახალგაზრდობის ღირსების საქმეა ცხოვრებაში გაატაროს შეფობა სსრ კავშირის დიდი საზღვაო და საოკეანო ფლოტების, „მეორე ბაქოს“ შექმნაზე, მოსკოვის ქვანახშირის ბასეინის განვითარებაზე, საბჭოების სასახლის მშენებლობაზე, კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე, აკმოლინსკარტალის ახალი რკინიგზასა და „ამურფოლადმშენის“ შექმნაზე. ეს შეფობა მოვალეობას გვაკისრებს, იგი უნდა იყოს არა დეკლარატიული, არა საპარადო. ეს არის პრაქტიკული დახმარების გაწევა პარტიისა და მთავრობისათვის.

რა უსაზღვრო და აღმფრთოვანებელ პერსპექტივებს წარმოადგენენ ეს ღონისძიებანი ლენინურ-სტალინური კომკავშირის მოღვაწეობისათვის! რა უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლია კომკავშირს საბჭოთა ქვეყნის შემდგომი აყვავების, მისი ძალიერებისა და თავდაცვა უნარიანობის განმტკიცების საქმეში, თუ იგი ახალი კადრებით დაეხმარება მრეწველობას, თუ იგი მხურვალედ მოჰკიდებს ხელს ახალი დიდი ხომალდებისა და ახალი რკინიგზების მშენებლობას, ახალი მწარმოებელი ძალების განვითარებას, საბჭოთა მიწის წიაღში გაბნეულ ახალ სიმდიდრეთა ათვისებას!

საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძალიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ზრუნვით უნდა იყოს გამსჭვალული კომკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობა. დიდია კომკავშირის როლი ისეთ პასუხსაგებ საქმეში, როგორიც არის ახალგაზრდობის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, თვითეული ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქისაგან ისეთი ფიზიკური, მტრებისადმი შეუბრალებელი და თავისი სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული მებრძოლის აღზრდა, რომელიც ყოველ წუთს მზად არის გაბედოდეს საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავად. კომკავშირი მასობრივი თავდაცვითი მუშაობის სული და გული უნდა იყოს. მისი წმინდა მოვალეობაა დაუღალავად იზრუნოს იმისათვის, რომ ღირსეული შევსება მოამზადოს ქვეყნის თავდაცვისათვის, განამტკიცოს თავისი კავშირი წითელ არმიასთან და სამხედრო-საზღვაო ფლოტთან.

ეს დიდი საქმეები რომ ბოლშევიკურად განახორციელოს, მთელი კომკავშირი მოვალეა სერიოზულად მოჰკიდოს ხელი მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებას. უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც კომკავშირის წინაშე დგას, — ეს არის პრაქტიკული სახელმწიფოებრივი მუშაობის მოხერხებულად შეხამება საბჭოთა ახალგაზრდობის, მოზარდი თაობის იდეურ შეიარაღებასთან, კომუნისტურ აღზრდასთან. მხოლოდ ის კომკავშირული კადრები შესძლებენ ჯეროვანად გაუწიონ ხელმძღვანელობა მობრუნებას კომკავშირის მუშაობაში, რომელნიც სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებას, საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესწავლას.

მობრუნება კომკავშირის მუშაობაში წარმოუდგენელია ისე, თუ არ განვითარდა და არ განმტკიცდა კომკავშირული დემოკრატია, თუ არ იქნება გულსხმიერი და ეზრუნველი დამოკიდებულება კომკავშირის რიგითი წევრისადმი, მისი უფლებებისადმი. საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ კომკავშირულ ორგანიზაციებში უსულგულობა, ადამიანისადმი კაზიონურ - ბიუროკრატიული დამოკიდებულება, გადაზღვევა და ახალგაზრდობისადმი „ბიოლოგიური“ მიდგომა. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება უმართებულოდ სთვლის საკ. ალკკ-დან კომკავშირელთა გარიცხვას სოციალურად უცხო ელემენტებთან მათი ნათესაობის ნიშნების მიხედვით. ეს მთლიანად გამოდინარეობს ამხანაგ სტალინის მითითებიდან, რომ შვილი მამისათვის პასუხს არ აგებს.

„კომკავშირის ახალი ამოცანები მოითხოვენ შინასაკავშირო დემოკრატიის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ყოველნაირად გაძლიერებასა და განმტკიცებას კომკავშირულ ორგანიზაციებში.

პლენუმი ავალებს ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას გადაჭრით აღკვეთოს კომკავშირელის უფლებათა შელახვის ყოველგვარი ცდა. განუმარტოს ყველა კომკავშირელს, რომ მათ უფლება აქვთ გააკრიტიკონ კომკავშირულ კრებებზე ყოველი კომკავშირული ბუშაკი, მოითხოვონ პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილებანი კომკავშირელის საქმიანობის ან ყოფაქცევის შესახებ, ყოველგვარ საკითხზე მიმართონ კომკავშირის საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საკ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტსაც კი“.

კომკავშირის III ყრილობაზე ლენინმ, მიმართავდა რა კომკავშირელებს, ამბობდა: „თქვენ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებელნი უნდა იყოთ იმ ბილიონობით მშენებელთა შორის, რომელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი ახალგაზრდა კაცი, ყოველი ახალგაზრდა ქალი“. თავისი დიდი მასწავლებლის ამ ანდერძს საბჭოთა ახალგაზრდობა მთელს თავის გმირულ გზაზე ასრულებდა.

და ეჭვი არ არის, რომ კომკავშირი, რომელმაც გმირული ფურცლები ჩაწერა პირველი ორი ხუთწლედის ისტორიაში, მესამე სტალინურ ხუთწლედშიაც გვიჩვენებს ახალ სახელოვან საქმეებს. ეჭვს გარეშეა, რომ კომკავშირი ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მთელ ძალღონეს მოახმარებს იმას, რომ მესამე ხუთწლიანი გეგმაც მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს, რომ საბჭოთა ქვეყანამ ძლევამოსილად დაამთავროს ისტორიული გადასვლა სოციალიზმიდან კომუნიზმში.

ახალი საბრძოლო საქმეებისათვის, ამხანაგო კომკავშირელებო!

„პრავდის“ მოწინავე, 21/IV.

სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმის 15 წლისთავი

სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმმა დაიწყო მზადება მუზეუმის არსებობის 15 წლისთავისათვის, რაც 12 მაისს შესრულდება. ამ წლების განმავლობაში მუზეუმი რუსეთისა და დასავლეთის რევოლუციურ მოძრაობათა ისტორიის უძვირფასესი საბუთებისა და რელიქვიების უდიდეს საგანძურად გადაიქცა მსოფლიოში. განსაკუთრებით მდიდრად არის წარმოდგენილი საბუთებში საკ. კ. პ. (ბ) გმირული გზა.

მუზეუმის საგამოფენო დარბაზებსა და არქივებში ფრთხილად ინახავენ მილიონამდე საბუთსა და 5.000-ზე მეტს უნიკალურ ნივთს — რელიქვიებს.

განსაკუთრებულ დარბაზში გამოფენილია ჩვენი ქვეყნის მშრომელებისა და კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარების მიერ ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილი მრავალი საჩუქარი.

სამასი რევოლუციური დროშა ამშვენებს მუზეუმის დარბაზებს. აქ ინახება პუგაჩოვის ჯარის დროშა, 50-ზე მეტი დროშა უნგრეთის იმ რევოლუციის მონაწილეთა, რომელიც ნიკოლოზ I ჯარმა ჩაახშო 1849 წელს. ტყვიით დაჯრილულ, დიდებით მოსილ რევოლუციურ დროშათა შორის გამორჩეულია ნორმოვის ქარხნის მუშათა დროშა, რომლითაც ისინი მაისობაზე 1903 წელს მიდიოდნენ. აქვე გამოგზავნეს თავიანთი საბრძოლო დროშები რესპუბლიკური ესპანეთის მებრძოლებმა.

უდიდეს ღირებულებას წარმოადგენს მუზეუმის ბიბლიოთეკა. ამ ბიბლიოთეკაში არის ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ყველა წიგნისა და ბროშურის პირველი გამოცემები, „კაპიტალის“ რუსული თარგმანი. 1872 წელს შესრულებული, კლარა ცეტკინის პირადი ბიბლიოთეკა, რომელშიც 5.000-ზე მეტი ტომი ითვლება. ამ ბიბლიოთეკის მრავალ წიგნზე არის ვილჰელმისა და კარლ ლიბკნეხტის, ფ. მერინგის და ამხანაგ სტალინის ავტოგრაფები, ხელნაწერთა შორის არის კ. ლიბკნეხტის, ი. მ. სვერდლოვის, ს. მ. კიროვის, ვ. ვ. კუიბიშევის, მ. ვ. ფრუნზეისა და გ. კ. ორჯონიკიძის გამოუცემელი სტატიები, დღიურები და წერილები.

15 წლის განმავლობაში სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმი დაათვალიერა 5 მილიონზე მეტმა მშრომელმა.

(საკდესი).

ДАМТКИЦЕБУЛИА СРУЛИАД-САКАВШИРО САСОФЛО-САМЕУРНЕО ГАМОФЕНИС 15 АТАСИ МОНАЧИЛЕ

20 აპრილისათვის საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა, მხარეებმა და ოლქებმა დაახლოებით 40 ათასი კანდიდატი წარადგინეს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის მიღების უფლებისათვის. 15,8 ათასი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური და სოფლის მეურნეობის მოწინავე უკვე დამტკიცებულია გამოფენის მონაწილეებად. (საკდესი).

მეცნიერებათა აკადემიაში

სსრ კავშირის ხალხთა წარმოშობა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილება წელს დიდ მუშაობას აწყობს საბჭოთა კავშირის მოსახლე ხალხთა წარმოშობის შესასწავლად. 26 და 27 აპრილს შესდგება ამ საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური სესია. აკადემიკოსი ნ. ს. დერეავინი გააკეთებს მოხსენებას სამხრეთელ სლავთა წარმოშობის პრობლემის შესახებ, პროფ. რიბაკოვი — კიევის რუსეთის შესახებ, პროფ. ტრეტიაკოვი ილაპარაკებს აღმოსავლეთელ სლავთა ტომების არქეოლოგიურ ძეგლთა შესახებ. სულ რვა მოხსენება იქნება წაკითხული.

განყოფილებასთან შექმნილია სპეციალური კომისია სლავებისა და სხვა ხალხთა წარმოშობის შესასწავლად. კომისიას ხელმძღვანელობს აკადემიის წევრი — კორესპონდენტი ა. დ. უდალცოვი. (საკდესი).

ДЕНИНИ ПИРВЕЛИ МАИСИС ШЕСАХЕБ

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი სტატიებისა და ფურცლების კრებული: „პირველი მაისი“. კრებულში შეტანილია სტატიები, ფურცლები და სხვა მასალები, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ 1900-1920 წლების მანძილზე პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულთან — 1 მაისთან დაკავშირებით. კრებულის ტირაჟი 100 ათას ეგზემპლარს უდრის.

○

გამოდის დოკუმენტების კრებული „პირველი მაისი მეფის რუსეთში“, გამზადებული რევოლუციის ცენტრალური არქივის მიერ. (საკდესი).

დიდი საზეიმოს მ. ე. სა[illegible] შჩედრინის იუბილეს წინ[illegible]

ლენინგრადი, (ჩვენი საკ. კორ.). ლენინგრადის საზოგადოებრიობამ ფართოდ გაშალა მზადება მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის, რომელიც 10 მაისს სრულდება. ამ დღეებში შესდგა დიდი რუსი სატირიკოსის ხსოვნის აღსანიშნავად შექმნილი კომიტეტის სხდომა.

10 მაისს ფილარმონიის დარბაზში შესდგება შჩედრინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო. უფრო ადრე მწერალთა სახლში, უნივერსიტეტში შესდგება საღამოები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში — საზეიმო სხდომა. შჩედრინისადმი მიძღვნილ დიდ გამოფენას ამზადებს წითელდროშოვანი საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც მწერლის სახელს ატარებს.

ოპერის [illegible] თეატრი გმელად [illegible] მზადდ[illegible] [illegible] — [illegible] რომლის ლიბრეტო დასწერა პ[illegible] როჟდესტვენსკიმ შჩედრინის ცნ[illegible]ლი ნაწარმოების მიხედვით.

იუბილეს დღისათვის ლენინგრადის გამომცემლობები ამზადებენ გამოსაშვებად: მწერლის რჩეული ნაწერების ერთტომეულს, მის შესახებ კრიტიკული სტატიების კრებულს, პორტრეტებისა და ილუსტრაციების დიდ ალბომს, პლაკატს და სამახსოვროს, მიძღვნილ სალტიკოვ-შჩედრინისადმი.

კომიტეტმა დაადგინა მიმართოს ლენინგრადის საბჭოს შუამდგომლობით კირკის ქუჩისათვის სალტიკოვ-შჩედრინის სახელის მიკუთვნების შესახებ, აგრეთვე იმ ბინის რესტავრაციის შესახებ, რომელშიც გარდაიცვალა დიდი მწერალი.

გაშიფრულია ჯერ შეუსწავლელი ხვარაზმული ენა

ლენინგრადი (ჩვენი საკ. კორ.). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის პროფესორმა ა. ა. ფრეიმანმა მრავალწლიანი შრომის შემდეგ გაშიფრა ხვარაზმული ენა, რომელიც დღემდე შეუსწავლელი იყო და ხმარებიდან გამოვიდა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში.

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ა. ა. ფრეიმანმა თავისი მუშაობის შესახებ განაცხადა:

— როგორც ცნობილია, ძველი ხვარაზმის ტერიტორიაზე ახლა ლაპარაკობენ თურქულ ენებზე—უზბეკურსა და თურქმენულზე, ხვარაზმული ენა ენათესავება სოგდურ ენას.

ხვარაზმულ ენაზე დაწერილი რამდენიმე ხელნაწერი ამ რამდენიმე წლის წინათ იპოვნეს ტაჯიკისტანში და ამჟამად მე ვაწარმოებ მათს შესწავლას.

ძველი ხვარაზმის ენის გაშიფრვა შესაძლებელი გახდა იმ ხელნაწერის მეოხებით, რომელიც ამასწინათ აღმოაჩინეს შუა აზიაში. მასში მოყვანილია ხვარაზმული ფრაზები და მათი თარგმანი არაბულ და სპარსულ ენებზე.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი დოკუმენტები მოწმობენ, რომ ხვარაზმის მაღალი კულტურა არსებობდა რამდენიმე ათასეული წლის განმავლობაში. გასაღები, რომელიც ამჟამად გვაქვს ხვარაზმული ენის გასაშიფრად, შესაძლებლობას მოგვცემს შევისწავლოთ ხვარაზმის ისტორია და კულტურა.

„აბესალომ და ეთერი“ მოსკოვის დიდ თეატრში

მოსკოვი, (ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.). სსრ კავშირის დიდი თეატრის კოლექტივი განაგრძობს მუშაობას ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ დადგმაზე. თეატრის მხატვრულმა ხელმძღვანელმა ამხ. სამოსუდმა თქვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ თეატრი, რომელმაც იკისრა ვალდებულება ეს ოპერა დასდგას ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონში, თავის ვალდებულებას შეასრულებს. პრემიერა ნაჩვენები იქნება არა უგვიანეს ივნისის დამდეგისა.

ოპერის მოქმედება თეატრი მიაკუთვნებს ქართული კულტურის უაღრესად საინტერესო, ძველ პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია დიდი პოეტის რუსთაველის სახელთან. მხატვარი რინდინი სპექტაკლს აფორმებს იმ ეპოქის არქიტექტურული ძეგლების, ფრესკებისა და სხვა მასალების საფუძველზე. ოპერის დამდგმელი, რსფსრ სახალხო არტისტი სიმონოვი და რეჟისორი მ. კვალიაშვილი ცდილობენ შეუნარჩუნონ სპექტაკლს მომხიბლავობა „აბესალომ და ეთერის“ შესახებ არსებული ლეგენდისა, რომელიც კომპოზიტორის მიერ წარმტაც და მუსიკალურ სახეებშია განხორციელებული.

გავშალოთ მზადება პირველი მაისის შესახვედრად

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში

[illegible] აპრილს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის შემკრებ საამქროში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, მიძღვნილი 1-ლი მაისის შეხვედრისადმი. მიტინგმა უდიდესი აღფრთოვანებით ჩაიარა. სიტყვა წარმოსთქვეს სტახანოველებმა და დამკვრელებმა, მათ ათობით ახალი საბრძოლო ვალდებულებანი იკისრეს. ხარატმა ამხ. ბერიაშვილმა იკისრა ვალდებულება, რომ ნორმას 250 პროცენტით შეასრულებს, და წინასამაისო შეჯიბრებაში გამოიწვია ხარატი ამხ. ტრიოხლაზოვი. კომკავშირელმა ხარატმა ამხ. თუთუზოვმა ყოველდღიური ნორმის 400 პროცენტით შესრულება იკისრა.

სტახანოვური ვალდებულებანი იკისრეს ამხ. ტურაშვილის, იაგორაშვილისა და იუშკევიჩის კომპლექსური ბრიგადების კოლექტივებმა. რომლებმაც 1-ლ კვარტალში ჩატარებული ჩინებული მუშაობით ქარხნის კომიტეტის გარდამავალი დროშა მოიპოვეს.

1-ლ მაისს საამქრო უკეთესი მაჩვენებლებით ეგებება, გასულ თვეებთან შედარებით. 19 აპრილისათვის საეჭვლოატაციოდ გადაცემულია 11 ორთქლმავალი და მზადაა გადასაცემად 7 ორთქლმავალი.

საამქროს კოლექტივმა მიტინგზე მიღებული რეზოლუციით ვალდებულება იკისრა, რომ პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად აპრილში შეაკეთებს და ტრანსპორტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ორთქლმავლისა, ჩაბარებს 33 ორთქლმავალს და ყოველნაირად ეცდება, რათა მოიპოვოს გზათა სახალხო კომისარიატის სისტემის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ამჟამად ტიბორეცკის ქარხანას უჭირავს.

○

1-ლი მაისისათვის ქარხანა სადღესასწაულოდ მოეწყობა. ქარხნის შესავალი, საამქროები და მოედნები მორთული იქნება ალმებით, ბელადთა პორტრეტებით და 1-ლი მაისისა და სტალინური მესამე ხუთწლედის სახელობის სრულიადსაკავშირო შეჯიბრებისადმი მიძღვნილი პლაკატებით.

მოეწყობა ექსკურსიები მარჯენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, ავლაბრის რესტავრირებულ არალეგალურ სტამბაში, ლიტერატურულ მუზეუმში. ექსკურსიაში 400-ზე მეტი კაცი მიიღებს მონაწილეობას. პირველ მაისს პლეხანოვის სახელობის კლუბის პარკში გაიმართება დიდი საპირველმაისო სეირნობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები, თვითმოქმედი წრეები და სხვ. (საქდესი).

პირველ მაისს ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევეგებოთ!

მოწინავე მნგრეველებმა ვადამდე შეასრულეს თვიური დავალებანი

ტყიბული, (საქდესი). დონის ბასეინის ბუშაკთა მოწოდებამ საქართველოს სამთამადნო მუშაკებისადმი მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრების გაფართოებისა და განმტკიცების შესახებ, მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ტყიბულის მაღაროელთა შორის. ნაღაროების საუკეთესო სტახანოველებმა, რომლებიც იბრძვიან სპატიო უფლებისათვის, რათა მოხვდნენ იმ დელეგაციაში, საპირველმაისო დღესასწაულებზე დონბასში რომ მიემგზავრება, აპრილში ახალი დიდი საწარმოო გამარჯვებანი მოიპოვეს.

ლენინის სახელობის ნაღაროს მოწინავე მნგრეველმა ლავრენტი ცქიფურიშვილმა 14 აპრილისათვის მოანგრია 725,2 ტონა ქვანახშირი, რაც თვიური დავალების 110,3 პროცენტს შეადგენს. სტახანოველმა მნგრეველმა ალექსანდრე ბაბუხადიან ამავე რიცხვისათვის აპრილის გეგმა 112,9 პროც. შეასრულა და 742,3 ტონა ქვანახშირი მოანგრია. 14 აპრილისათვის დაამთავრა თვიური გეგმა სტახანოველმა მნგრეველმა ისმაილ გვენტაძემ, რომელმაც აპრილში მოანგრია 662 ტონა ქვანახშირი (გეგმის 101 პროც.).

ჩინებულ შედეგებს მიაღწია ლენინის სახელობის მაღაროს პირველმა უბანმა (უფროსი ამხ. პ. ჩიხლაძე), რომელმაც 13 აპრილს დღიური ნორმა 112,6 პროცენტით შეასრულა. სტალინის სახელობის მაღაროს № 1-მა უბანმა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ქეთო შალიკაშვილი ხელმძღვანელობს, დღიური დავალება 13 აპრილ 117,3 პროცენტით შეასრულა.

სოციალისტური შეჯიბრება დონის ბასეინის მაღაროელებთან შეუნელებელი აღმავლობით გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის სახელობის მაღაროო ჯერ კიდევ განაგრძობს ჩამორჩენას, 15 აპრილს ტრესტმა მთლიანად დღიური დავალება 100,7 პროცენტით შეასრულა და 1312 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

1 მაისისათვის ტყიბულის მაღაროელები საწარმოო საჩუქრებს ამზადებენ და პირობას იძლევიან, რომ პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაულს ახალი გამარჯვებებით შეხვდებიან.

საწარმოო საჩუქრები 1-ლი მაისისათვის

ბორჯომი, (საქდესი). ბორჯომში დამთავრდა სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალი სატრიკოტაჟო ფაბრიკის მშენებლობა. ფაბრიკის შენობა სამსართულიანია. მასში მოთავსებულია 3 საამქრო: სატრიკოტაჟო, სატრიკოტაჟო-რეზინისა და აბრეშუმის ძაფსახვევი.

ახალი ფაბრიკა 1 მაისის დღესასწაულის დღეებში ამუშავდება.

ამავე დღეებში ამუშავდება ბორჯომის შუშის ქარხნის ახალი, მეორე ღუმელი. მისი საწარმოო სიმძლავრეა ბორჯომის წყლის 36.000 ბოთლი დღეღამეში.

○

ფოთი, (საქდესი). 1 მაისის დღესასწაულს ფოთის მშრომელები საწარმოო საჩუქრებით ეგებებიან. ფოთის ნავსადგურის პირველი საწარმოო რაიონის კოლექტივმა აპრილის გეგმა ვადამდე შეასრულა. ამ დღეებში ნავსადგურში ჩოსული გემი „რაბოტნიკი“, რომელიც მარილით იყო დატვირთული, ვადაზე 27 საათით ადრე დასცალეს. ნავსადგურის სტახანოველებმა გემის დაცლის დროს ამხ. ბლიდმანის მეთოდი გამოიყენეს.

დღესასწაულის დღეებში ფოთში საექსპლოატაციოდ გადასცემენ 26-ბინიან ახალ საცხოვრებელ სახლს კოლხიდმშენის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებისათვის. სახლის მშენებლობა 1.200.000 მანეთი დაჯდა. საექსპლოატაციოდ გადასცემენ აგრეთვე წყლის მუშაკთა პროფკავშირის ახალ საბავშვო ბაღს 100 ბავშვისათვის. დღესასწაულისათვის ამთავრებენ საზღვაო ვაგზლის კაპიტალურ რემონტს, სადაც დადგმულია მძლავრი რადიოლა ნავსადგურის ყველა ნავსაბელის მომსახურებისათვის.

5.000 მანეთი მოწინავე საწარმოების სტახანოველთა დასაჯილდოებლად

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ყოველ კვარტალში გადაიდება 5.000 მან. თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ორ მოწინავე საწარმოსათვის საუკეთესო სტახანოველთა დასაჯილდოებლად.

საწარმოს, რომელიც პირველ ჯილდოს (3.000 მან.) მიიღებს, გადაეცემა თბილისის საბჭოს გარდამავალი დროშა.

თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი ამხ. კ. ერაძე (მეორე მარჯვნიდან) ესაუბრება პარტიის წევრობის კანდიდატებს. ფოტო ვ. გინზბურგისა

გარდაიცვალა აკადემიკოსი ი. მ. გუბკინი

21 აპრილს, ღამის 1 საათზე, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკადემიკოსი ი. მ. გუბკინი. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ჯარის კონცენტრაცია აღმოსავლეთ პრუსიაში

ლონდონი, 21 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ ვარშაველი კორესპონდენტი, ემყარება ბულ ცნობებს, იუწყება, რომ ამჟამად აღმოსავლეთ პრუსიაში თავმოყრილია 400 ათასი გერმანელი ჯარისკაცი.

ბერლინისა და რომის ზემოქმედება იუგოსლავიაზე

ლონდონი, 21 აპრ

ჩინეთის არმიის ერთერთი ნაწილის მეთაური თვალს ადევნებს იაპონელ დამპყრობელთა ჯარების მოძრაობას. საკლესის ფოტოქრონიკა

ჩინელთა ოპერაციები ნანჩანის რაიონში

ლონდონი, 20 აპრილი (საკლესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინელთა ჯარმა ცენტრალური ფრონტის ნანჩანის სექტორში ბეტად სწრაფად წაიწია წინ მდინარე ფუხეს გასწვრივ და მთელი რიგი პუნქტები დაატოვებინა იაპონელებს. ამ მანევრის შედეგად ჩინელთა ნაწილები ამჟამად მხოლოდ 14,5 კილომეტრით არიან დაშორებული ნანჩანს (წარსულ კვირას 96 კილომეტრით იყვნენ დაშორებული ქალაქს).

კორესპონდენტის სიტყვით, ჩინელთა რეგულარული ნაწილებს დიდი დახმარება გაუწია 60 ათასმა კარგად შეიარაღებულმა პარტიზანმა, რომელიც მთებში დარჩა იაპონელების მიერ ნანჩანის დაპყრობის შემდეგ. პარტიზანთა ნაწილებს ებრძანათ გასულიყვნენ ჯარის დასახმარებლად და მთაც გაილაშქრეს სამხრეთისაკენ, პოიანხუს ტბის დასავლეთ ნაპირის გასწვრივ. ამ დროს ჩინელთა რეგულარული ჯარი უტევდა ჩრდილო-დასავლეთით ლიახტანისაკენ (ნანჩანის სამხრეთ-აღმოსავლეთით), რომელიც ზათ დაიკავეს. ამის შემდეგ ჩინელთა რეგულარული ნაწილები შეუერთდნენ პარტიზანებს და ერთად შეუტიეს იაპონელთა პოზიციებს ნანჩანის რაიონში.

გაფენკუ ჰიტლერთან

ბერლინი, 20 აპრილი (საკლესი). 19 აპრილს ბერლინში მყოფი რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გაფენკუ მიიღეს ჰიტლერმა და გერინგმა.

გერმანია და დანციგი

ლონდონი, 20 აპრილი (საკლესი). გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბერლინელი კორესპონდენტის სიტყვით, საქმესთან კარგად გაცნობილი წრეებში აღნიშნავენ, რომ უახლოეს დროში გერმანიის მთავრობა მთელ თავის ყურადღებას მიაქცევს დანციგის საკითხს. გერმანელი ფაშისტები, სწერს კორესპონდენტი, ჰფიქრობენ სწრაფად გადასჭრან ეს პრობლემა და ამ მიზნით ერთ-ერთ ადგილზე ამ საკითხზე. თუ პოლონეთი დათმობაზე არ წავიდა, ნაზინ გამორიცხული არ არის ძალის გამოყენების შესაძლებლობა.

გაზეთ „დეილი მეილის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება იმ სამხედრო მზადების შესახებ, რომელიც ამჟამად გერმანიაში ტარდება. მისი სიტყვით, არმიის საჭიროებისათვის რეკვიზირებულია სატვირთო მანქანები. „მერსედესის“ მარკის ავტომობილების პატრონებმა ბერლინის პოლიციისაგან მიიღეს ინსტრუქციები, რომლებშიაც აღნიშნულია, რომ მათ, როგორც კი მიიღებენ სპეციალურ უწყებებს, დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანონ თავიანთი მანქანები დანიშნულ პუნქტებში საწვავი მასალის სრული მარაგით.

დასასრულ კორესპონდენტი დასძენს, რომ გერმანიის ყველა ნაწილში მიმდინარეობს ჯარის გადაჯგუფება.

გერმანელ ჯარისკაცებზე თავდასხმა კასლავში

ფრანგული გაზეთი „პარი სუარი“ იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ კასლავში უცნობმა პირებმა სროლა აუტეხეს გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფს. სამი ჯარისკაცი იქვე მოჰკლეს, თავდაცვისმელები მიიმალნენ.

გერმანიის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამის საპასუხოდ დაუყოვნებლივ მიიღეს კონტრზომები... ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ. მათ ძველების სახით დააპატიმრეს მთელს ქალაქში ცნობილი სამი მოქალაქე და მოსახლეობას გამოუცხადეს, რომ ისინი დაპატიმრებული იქნებიან მანამ, ვიდრე არ მოიძებნებიან ის პირნი, რომელთაც დანაშაული მიუძღვით ჯარისკაცთა მოკვლაში.

20 აპრილი. (საკლესი).

ჯაბუი გერმანია-რუმინეთის მოლაპარაკების შესახებ

პარიზი, 20 აპრილი (საკლესი). იტალიელი ეხება რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გაფენკუს ბერლინში ყოფნას და „ევრში“ სწერს, გერმანიამ გადასწყვიტა ზეგაკლენა მოახდინოს რუმინეთზე, რათა მონაწილეობა არ მიაღებინოს მას „დემოკრატიული სახელმწიფოების თავდაცვითი პოლიტიკის“ სისტემაშიო.

ბერლინს რომ მიემგზავრებოდა, გაფენკუ გზად ესაუბრა ბეკს; ტაბუის ცნობით, ეს მოლაპარაკება სრულიადაც ბერლინის სსსარგებლო არ ყოფილაო. ცნობილია, რომ ვარშავა ცდილობს არ დაათმინოს ბუქარესტს. ბეკმა, როგორც ამბობენ, აშკარად მიახვედრა თავისი რუმინელი კოლეგა, რომ გერმანიის პრეტენზიების ერთობ ფართოგანხორციელებაზე თანხმობა საეჭვოდ გახდის ბუქარესტისა და ვარშავის ურთიერთობასო. გაფენკუს უხდოდა რუმინეთის მხრივ გერმანიისადმი ეკონომიურ დათმობათა საზღაურად მიეღო იტალია-გერმანიის გარანტიები რუმინეთის საზღვრების ხელუხლებლობის შესახებ. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი მისი წარდგინება ამ მხრივ გულცივად მიიღეს. ირწმუნებიან, რომ რიბენტროპი, პირიქით, დაჟინებით მოითხოვდა რუმინეთს ბულგარეთისათვის დაეთმო სამხრეთი დობრუჯა იმ მიზნით, რათა ცხადეყო ბალკანეთის სახელმწიფოებთან „თანამშრომლობის სულისკვეთება“.

იტალია-უნგრეთის მოლაპარაკება შეშფოთებას იწვევს

ლონდონი, 20 აპრილი (საკლესი). როგორც ინგლისის გაზეთების კორესპონდენტები ბელგრადიდან იუწყებიან, იტალია-უნგრეთის მოლაპარაკებას სერიოზული შეშფოთება გამოუწვევია იუგოსლავიაში. კორესპონდენტების სიტყვით, უნგრეთს განზრახვა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენოს იუგოსლავიას. გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ ბელგრადელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იუგოსლავიის დედაქალაქში მიღებული ცნობებით, უნგრეთი აპირებს მოსთხოვოს იუგოსლავიას უნგრეთის საზღვართან მდებარე ბანატის რაიონის გადაცემა. კორესპონდენტი სწერს, ბელგრადში დიდი ეჭვით უცქერიან იტალია-უნგრეთის ზოლაპარაკებასო.

გაზეთ „ტაიმსის“ ბუდაპეშტელი კორესპონდენტი სწერს ერთი მხრივ იტალიასა და უნგრეთს შორის და, მეორე მხრივ გერმანიასა და რუმინეთს შორის ამჟამად წარმოებულ მოლაპარაკებაზე და აღნიშნავს, „ღერძის“ პარტნიორები (ალილობენ გასთიშონ ბალკანეთის ანტანტა და იუგოსლავია ჩამოაშორონ რუმინეთის იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ უნგრეთის იმ მოთხოვნების განხორციელებას, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მის მიერ დაკარგულ ტერიტორიების დაბრუნებას ეხებაო.

ზელეკი და ჩაკი რომში

რომი, 20 აპრილი (საკლესი). უნგრეთის მთავრობის პრემიერი ტელეკი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჩაკი გუშინ ორი საათის განმავლობაში ესაუბრნენ მუსოლინისა და ჩიანოს.

სტეფანის სააგენტოს წარმომადგენლისათვის მიცემული ინტერვიუში ჩაკიმ მკაცრად გააკრიტიკა რუზველტის მიმართვა ჰიტლერისა და მუსოლინისადმი და განაცხადა, რომ უნგრეთი რუზველტის მიმართვას უარყოფითად ეკიდება.

იტალიის ჰრესა იტალია-უნგრეთის მოლაპარაკების შესახებ

რომი, 20 აპრილი (საკლესი). იტალია-უნგრეთის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გაზეთები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია უნგრეთიუგოსლავიის შეთანხმების დადება. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს საკითხი განხილული იქნება ჩიანოსა და იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრ მარკოვიჩის შეხვედრის დროს, რაც 22 აპრილს უნდა მოხდეს. ფაშისტური გაზეთები აცხადებენ, რომ ამ მოლაპარაკებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს იუგოსლავიის პოლიტიკური ორიენტაციის საბოლოოდ გამორკვევაში. გაზეთ „კორიერი დელა სერას“ აზრით, როგორც იტალია - უნგრეთის ახლანდელი მოლაპარაკება, ისე იტალია-იუგოსლავიის მომავალი მოლაპარაკება ხელს შეუწყობს უნგრეთისა და იუგოსლავიის სრული თანამშრომლობის დამყარებას „რომი—ბერლინის ღერძის“ ქვეყნებთან.

„ლავორო ფაშისტა“ და იტალიის სხვა გაზეთები გაძლიერებით სწერენ იმაზე, რომ აუცილებელია აგრეთვე რუმინეთის ჩაბმა იტალია-გერმანიის ბლოკში.

საიდუმლო წყალქვეშა ნავი კანადის ნაპირებთან

ლონდონი, 20 აპრილი (საკლესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჰელიფექსიდან (კანადა) იუწყება, კანადის პროვინციის—ახალი შოტლანდიის ნაპიროებთან შეამჩნიეს გამოურკვეველი ეროვნების საიდუმლო წყალქვეშა ნავი.

კორესპონდენტის სიტყვით, ეს ნავი შეამჩნია ინგლისის გემის „ჯორნერ ბრუკის“ ეკიპაჟმა და ერთ-ერთმა კანადელმა მფრინავმა, რომელიც ახალი შოტლანდიის სანაპიროს თავზე დაფრინავდა.

ბრძოლა იაპონიის მმართველ წრეებში

(იაპონიის პარლამენტის სესიის შედეგებისათვის)

ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა იაპონიის პარლამენტის მე-74 სესია. სესიამ შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა — დაამტკიცა იაპონიის ისტორიაში უმგალითო ბიუჯეტი, რომელიც 10 მილიარდ იენს აღემატება და რომლის დიდი ნაწილი ჩინეთთან ომსა და აგრესიის ახალი აქტების მოგზადებას მოხმარდება. ის გარემოება, რომ პარლამენტის სესიაზე არ იყო აშკარა ოპოზიცია სამხედრო ხროვის მიმართ ეეჭველად შედეგია მთელი რიგი მანევრებისა, რომლებიც სესიის წინ ჩაატარეს როგორც თვით სამხედრო ხროვამ, ისე აგრეთვე პოლიტიკურმა წრეებმა — მისი პოლიტიკის გამტარებლებმა. „პირველი ხაზის,“ პოსტებიდან ისეთ პირთა გადაყენებამ, როგორიცაა სამხედრო მინისტრის ყოფილი მოადგილე გენერალი ტომინო, რომელიც აშკარად ლაპარაკობდა „ახალი ომის მომზადებაზე“, და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ადმირალი სუეცუგუ, რომელიც მოითხოვდა ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების დაშლას, აგრეთვე „ერის საყოველთაო მობილიზაციის“ კანონის მე-11 მუხლის შერბილებამ, მუხლისა, რომელიც ითვალისწინებს დივიდენდების შეზღუდვას და მთავრობის მიერ ზემოგებათა ომის საჭიროებისათვის გამოყენებას, — ყოველივე ამან თავისი როლი შეასრულა ფინანსიური ტუზების ერთგვარ „შერიგებაში“ მოფაშისტე სამხედრო ხროვასთან.

პარლამენტის სესიის სხდომებზე მაინც გამოცხადდა აშკარა ბრძოლა იაპონიის გამტარებელი კლასების შიგნით და უკანასკნელთა შინი მუშათა კლასისა და გლეხობის უკმაყოფილების ზრდის წინაშე, რომელთაც კისრად აწევთ ჩინეთში წარმოებული სამხედრო ავანტიურის მთელი სიმძიმე.

თუ წინათ იაპონელ ხალხს იმ აზრს უნერგავდნენ, რომ ომი ჩინეთში არისო „ინციდენტი“, „საომარი გასეირნება სამი თვით“ და სხვ., ახლა, როცა ომი გაჭიანურდა და იაპონიის მთელი ეკონომიკის უდიდეს დაძაბვას მოითხოვს, იაპონიის სამხედრო ხროვა შეუდგა „ასწლიანი ომისათვის“ მზადების პროპაგანდას. სამხედრო ხროვის ერთერთი აგენტი —იაპონიის ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის დირექტორი მასუტარო კიანა ეურნალ „ძიკმოკუ გეპოში“ სწორედ ასე სწერდა: „ჩინეთის დაპყრობა მოითხოვს სულ ცოტა სამი თაობის ძალას... ჩინეთის ინციდენტი ასწლიან ომად იქცევა“.

იაპონიის ფართო საზოგადოებრიობის შეშფოთება უნებლიედ გამოჰხატა აგრეთვე სეიუკაიელმა სეკო კოიციმ. პასუხად საგარეო საქმეთა მინისტრის არიტას განცხადებისა, რომ „აღმოსავლეთ აზიაში ახალი წყობილების შექმნა დაფუძნებულია იაპონური მორალის მოთხოვნებზე“, სეკო კოიციმ სთქვა, თუმცა მორალი თავისთავად არ არის ცუდი რამ, მაგრამ ხალხს იგი არაფერს აძლევსო.

სამხედრო ხროვის მორიგება ფინანსიურ წრეებთან „ერის საყოველთაო მობილიზაციის“ კანონის მე-11 მუხლის გარშემო, როგორც ცნობილია, მოხდა საგადასახადო დაბეგვრის გადიდების ხარჯზე, ე. ი. იაპონელ მშრომელთა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესების ხარჯზე. ფართო მოხმარების ყველა სახის საქონელზე შემოღებულია სპეციალური 10-პროცენტიანი დაბეგვრა.

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ხატა უკვე შეუდგა საბარათო სისტემის შემუშავებას ფართო მოხმარების ყოველგვარი სახის საქონლისათვის, ხოლო ფინანსთა მინისტრი ისივატარი სესიაზე იმუქრებოდა, რომ იგი „ძალით აიძულებს ხალხს თავი შეიკავოს მოხმარებისაგან“.

წვრილ და საშუალო მეწარმეთა მდგომარეობა ვაჭრობასა და მრეწველობაში ნედლეულის უქონლობისა და „ბშვიდობიანი დროის“ საქონლის გამოშვების შემცირების გამო ფრიად არასახარბიელოა. მარტო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ცნობებით, რომლებიც მოჰყავს გაზეთ „კიუგაი სიოგიოს“, 26.660 ასეთი მეწარმე უკვე გაკოტრდა, ხოლო 53.155-ს ასეთივე ბედი ეწელის უახლოეს 2-3 თვეში.

ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ იაპონიაში იზრდება უკმაყოფილება, რომელიც დეპუტატმა იმაიმ შერბილებით დაახასიათა, როგორც „ხალხის ზიზღის ზრდა მოხელეებისადმი“ (იგულისხმე — სახელმწიფო აპარატისადმი!). აი რატომ იყო იძულებული პრემიერი ხირანუმა ელიარებინა სესიაზე, რომ „ახლანდელი ვითარება იაპონიაში ხელს უწყობს კომუნისტურ განწყობილებათა ზრდას“.

სესიამ ცხადჰყო, რომ გაბატონებული კლასების შიგნით გრძელდება კინკლაობა. იაპონიის სამხედრო ხროვამ წამოაყენა „ჩინეთის ოკუპირებული რაიონების ათვისების“ ლოზუნგი. ამისთვის საჭიროა კაპიტალი. ფინანსიური ტუზები, რომელნიც იაპონიის სამხედრო ხროვის ზურგს ეფარებიან, მზად არიან ხელი მოიბანონ ახალი „კოლონიის“ ექსპლოატაციაზე. მაგრამ კაპიტალის დაბანდების საკითხმა გამოიწვია ყრუ ბრძოლა ჩინეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისების ხელმძღვანელობისათვის. სამხედრო ხროვა, რომელიც თავის თავს მდგომარეობის ბატონპატრონად სთვლის, მოითხოვს, რათა ეს ხელმძღვანელობა მას გადაეცეს. ჩრდილო და ცენტრალური ჩინეთის საექსპლოატაციო კომპანიებში და „აღმოსავლეთ აზიის საქმეთა სამართველოში“ ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტები უკვე სამხედრო პირების ან მათი აგენტების ხელშია. ეს იწვევს კონცერნების უკმაყოფილებას, რომელთაც არ სურთ ვინმეს გაუზიარონ თავიანთი მოგება.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის საშინაო მდგომარეობა უფროდაუფრო უარესდება, მშრომელ მასებში იზრდება რევოლუციური განწყობილება, მიუხედავად იმისა, რომ არის იაპონიის არმიის მორალურად გახარწყნის ფაქტები, არმიისა, რომელსაც არ სურს იომოს იაპონიის ფინანსიური კაპიტალის ინტერესებისათვის, —იაპონიის სამხედრო ხროვა არ აპირებს უარი სთქვას აგრესიის გაფართოებაზე როგორც აზიის მატერიკზე, ისე წყნარი ოკეანის სამხრეთ აუზშიც. ამას, კერძოდ, მოწმობს ის გარემოება, რომ კოლონიების მინისტრად დაინიშნა გენერალი კოისო—გენერალთა მოფაშისტე დაჯგუფების „ყაყას“ მონაწილე, რომელშიც შედიან საკმაოდ ცნობილი გენერალი არაკი და 1936 წლის სამხედრო-ფაშისტური პუტჩის ერთერთი სულისჩამდგმელი გენერალი ნაძაკი. ეს მოწმობს აგრეთვე იმას, რომ კომპრომისობის წინასასესიო თამაში დამთავრდა, და ხირანუმის კაბინეტი „საქმიან“ ბუშაობას შეუდგა.

ვ. კარლი.

ვაშინგტონი, აპრილი.

მუსოლინის სიტყვა

რომი, 20 აპრილი (საკლესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ დღეს დილით მუსოლინიმ სიტყვა წარმოსთქვა იმ გამოფენისადმი ნაძღვნილ სხდომაზე, რომელიც რომში ეწყობა 1942 წელს. ამ სიტყვის საგარეო-პოლიტიკურ ნაწილში მუსოლინიმ ილაპარაკა „ქარიშხლის მოგასწავებელ ღრუბლებზე, რომელნიც აბნელებენ ჰორიზონტს“. გადაკვრით შეეხო რა რუზველტის მიმართვას, მუსოლინიმ აღნიშნა, რომ „ურთიერთ ათწლიანი გარანტიების სისტემა წარმოადგენს აბსურდს“. „რაც შეეხება გათვალისწინებულ კონფერენციას, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები შორეული მეთვალყურის ფაქტიური როლით დაკმაყოფილდებიან, — სთქვა მუსოლინიმ,—გამოცდილება ამ მხრივ გვაძლევს მწარე გაკვეთილებს, რომელნიც გვიჩვენებენ, რომ რაც უფრო მეტია კონფერენციის მონაწილე, მით უფრო ნაკლებად მოსალოდნელია მისი წარმატება“. მუსოლინი მკაცრად დაესხა თავს „პანიკის ბოლსველთ და კატასტროფების წინასწარმეტყველთ“ და განაცხადა, რომ „ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ჩვენი გონება შეაძრწუნონ კამპანიებით პრესაში და მესიერი მიმართვებით“.

თბილისი. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა თბილისის ბაზრებს ყოველდღიურად აწვდის 10 ტონაზდე ძროხილს. **სურათზე:** კოლმეურნე ვ. კვანტალიანი ჰკრეფს ისპანახს.

საქდესის ფოტოქრონიკა

დადგენილება

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის

1939 წ. 11 აპრილი

„ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის შესახებ“

ქ. თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის მიზნით ყველა დაწესებულებას, საწარმოებს, ორგანიზაციებს, სახლთმმართველობებს და ცალკეულ მოქალაქეებს ეკრძალებათ:

1. ხის ნარგავების შეკვეცა, გასხვლა, გადარგვა, მოჭრა და ამოთხრა, ისეთი ნარგავებისაც კი, რომლებიც უკვე ხმება, ვიდრე არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, თუ ამის შესახებ არ არის რაიონული საბჭოების წინასწარი წერილობითი ხელართვა.

შენიშვნა: ეს მუხლი არა ვრცელდება ოორთაჭალის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმის, სკოლაზე, ბოტანიკურ და სასახლის ბაღებზე და ზოოპარკზე.

2. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ცალკეულ მოქალაქეებს ეკრძალებათ:

ა. ქუჩებში, მოედნებზე და სახლთმფლობელობების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ეზოებში:

ა) ხის ნარგავების მოტეხა, მოჭრა, დასერვა და მათზე ასვლა;

ბ) მათში ლურსმნების, კაკვების, ჩანგლების, ეკლიანი მავთულის დაჭედება;

გ) ქუჩებში ახალგაზრდა ნარგავების რხევა ან მათზე მიყრდნობა;

დ) მათზე ქუჩის ურნების დამაგრება ჯაჭვებით, მავთულით და რკინის სალტეებით;

ე) ცხოველების მიბმა;

ვ) ხის ნარგავების გამოყენება ხარაჩოს დასაყრდენად;

ზ) ხის ნარგავებზე სატელეფონო, სატელეგრაფო ან სხვა მაგისტრალის დამაგრება;

თ) ხეებზე პლაკატების, კრონშტეინების, აბრების ან სხვა სახის რეკლამების დაკიდება;

ი) დამცველი ხარგავების (კრინოლინების) გაფუჭება.

ბ. საზოგადოებრივ ბაღებში, სკვერებში, სანერგეებში, ტყე, ფუნიკულიორის კალთები), ჭალებში, ქუჩებში და სასაფლაოებზე:

ა) გაზონებზე გადავლა, ბალახზე, გაზონებზე ჯდომა და წოლა;

ბ) ყვავილების კრეფა, ბალახის თიბვა, თესლის კრეფა და სხვ.;

გ) ბაღებში სკამების, ლობების და სხვა ნაგებობათა დამტვრევა და წარწყვეტილ გაფუჭება;

დ) ფეხით მოსიარულეთათვის დანიშნულ ბილიკებზე ველოსიპედებით, მოტოციკლეტებით, ცხენით ან ეტლით სიარული;

ე) ქუჩებში და ეზოებში ნარგავების მორწყვა ნაყინის ძლაშე წყლით და საზოგადოდ ჭუჭყიანი წყლით ან სხვა სითხით, რომელიც მავნებელია მცენარეებისათვის;

ვ) ფრინველების დაჭერა და მათი ბუდეების რამენაირად განადგურება ქ. თბილისის პარკებში, ტყეებში, სანერგეებში, ტყის კულტურის რაიონებში, სასაფლაოებზე;

ზ) ცხოველებით შესვლა პარკებში, ქალაქის სკვერებში, ბაღებში და ტყის კულტურის რაიონებში;

თ) ხეებით შემორგული ქუჩების, განაკეთებისა და ბილიკების დანაგვიანება ყოველგვარი ნაგავით;

ი) ბანაობა ქალაქის აუზებში და ტბებში, გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია ამისათვის.

კ) მაგარი სასმელების სმა ბაღებში, პარკებში, ქალაქის საზოგადოებრივ სკვერებში.

3. ქალაქ თბილისის ყველა სახლთმმართველობებსა და სახლთმფლობელობებს სახლის მმართველისა და სახლის ცალკეულ ოთახებს სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმის, ბოტანიკურ და სასახლის ბაღებზე და ზოოპარკზე.

2. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ცალკეულ მოქალაქეებს ეკრძალებათ:

ა. ქუჩებში, მოედნებზე და სახლთმფლობელობების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ეზოებში:

ა) ხის ნარგავების მოტეხა, მოჭრა, დასერვა და მათზე ასვლა;

ბ) მათში ლურსმნების, კაკვების, ჩანგლების, ეკლიანი მავთულის დაჭედება;

გ) ქუჩებში ახალგაზრდა ნარგავების რხევა ან მათზე მიყრდნობა;

დ) მათზე ქუჩის ურნების დამაგრება ჯაჭვებით, მავთულით და რკინის სალტეებით;

ე) ცხოველების მიბმა;

ვ) ხის ნარგავების გამოყენება ხარაჩოს დასაყრდენად;

ზ) ხის ნარგავებზე სატელეფონო, სატელეგრაფო ან სხვა მაგისტრალის დამაგრება;

თ) ხეებზე პლაკატების, კრონშტეინების, აბრების ან სხვა სახის რეკლამების დაკიდება;

ი) დამცველი ხარგავების (კრინოლინების) გაფუჭება.

ბ. საზოგადოებრივ ბაღებში, სკვერებში, სანერგეებში, ტყე, ფუნიკულიორის კალთები), ჭალებში, ქუჩებში და სასაფლაოებზე:

ა) გაზონებზე გადავლა, ბალახზე, გაზონებზე ჯდომა და წოლა;

ბ) ყვავილების კრეფა, ბალახის თიბვა, თესლის კრეფა და სხვ.;

გ) ბაღებში სკამების, ლობების და სხვა ნაგებობათა დამტვრევა და წარწყვეტილ გაფუჭება;

დ) ფეხით მოსიარულეთათვის დანიშნულ ბილიკებზე ველოსიპედებით, მოტოციკლეტებით, ცხენით ან ეტლით სიარული;

ე) ქუჩებში და ეზოებში ნარგავების მორწყვა ნაყინის ძლაშე წყლით და საზოგადოდ ჭუჭყიანი წყლით ან სხვა სითხით, რომელიც მავნებელია მცენარეებისათვის;

ვ) ფრინველების დაჭერა და მათი ბუდეების რამენაირად განადგურება ქ. თბილისის პარკებში, ტყეებში, სანერგეებში, ტყის კულტურის რაიონებში, სასაფლაოებზე;

ზ) ცხოველებით შესვლა პარკებში, ქალაქის სკვერებში, ბაღებში და ტყის კულტურის რაიონებში;

3. ქალაქ თბილისის ყველა სახლთმმართველობებსა და სახლთმფლობელობებს სახლის მმართველისა და სახლის ცალკეულ ოთახებს სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმის, ბოტანიკურ და სასახლის ბაღებზე და ზოოპარკზე.

ამ დადგენილების ერთ-ერთ ეგზემპლარს ადგილზე ეკიდოს ადვილად ხილვადი ადგილი.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობათა შემსრულებელი

კოჯლამაზაშვილი

თბილისის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი შარაშიძე

პროფ. ბ. ლავროვის მოწვევა

საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტმა მოიწვია და გუშინ თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ჟიტამინოლოგი, საკავშირო ჯანსაღყოფასთან არსებული ცენტრალური ვიტამინოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ბ. ლავროვი.

პროფ. ბ. ლავროვი გამოვა, როგორც ოფიციალური ოპონენტი საჯარო სხდომაზე, რომელზედაც მედიცინის მეცნიერება თა კანდიდატი გ. ნათაძე დაიცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაციის დაცვა შესდგება ანატომიური ინსტიტუტის აუდიტორიაში (ქამოს ქ. № 51) 22 აპრილს, საოამოს 8 საათზე.

რუსი მწერლები სტუმრად თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ რუსი მწერლები—ილია სელვინსკი, ვერა ინბერი და ევგენი პეტროვი

დღეს, 22 აპრილს საქართველოს მწერალთა კლუბში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სტუმრები.

საღამოს დასაწყისი 8 საათზე. დასწრება თავისუფალია.

საპირველმაისო ბაზრობა

პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით თბილისში ეწყობა დიდი სადღესასწაულო საპირველმაისო ბაზრობა. ბაზრობა დაიწყება 23 აპრილიდან თბილისის ყველა ბაზარზე და გასტანს 5 მაისამდე.

საბაზრო კომიტეტები გაცხოველებით ემზადებიან ბაზრობაზე ჩამოსულ კოლმეურნეთა შესახვედრად.

საქართველოს 17 რაიონის კოლმეურნეობები თბილისის ბაზრებზე უხვად შემოიტანენ ხორცს, ფრინველს, რძეს, კვერცხს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს.

23 აპრილიდან 1 მაისამდე ვაჭრობის დრო თბილისის საავჭრო ქსელში გადიდებული იქნება 2 საათით.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ვ. ხატიაშვილი

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამზადებელი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

შესდგება ხვალ, 23 აპრილს, რედაქციის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 16) საღამოს სრულ 7 საათზე. კურსების მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1938-39 წ. სეზონი

22/IV	წარმოდგენა 170 **თოფიანი კაცი**
23/IV	წარმოდგენა 171 **ოჯელო**
24/IV	წარმოდგენა 172 **ოჯელო**

სალარო ღია დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

22/IV	**ღები ჭერარ**
23/IV	**კოლმეურნის ქორწინება**
24/IV	დღისით **მათი ამბავი** დასაწყისი დღის 12 ს.

დასაწყისი საღამოს 8 ს. სალარო ღია დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ქუთაისის სანოტარო კანტორის აღმასრულებელთა წარწერა

1938 წ. 26 სექტემბრის თარიღით, № 5073, რომლითაც გადახდევინებეს მინიჭებული ჰქონდა ა/კ. რკინიგზის სამმართველოს მიმართ თანხით 2663 მან. და 37 კაპ., **ჩაითვალოს გაუქმებულად.**

ქუთაისი „ტექსტილსბიტი“.

1528

თბილისის ზ. ჯ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და გალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

22/IV	23/IV	24/IV
მუდმ. ადგ. ტალ. № 151	მუდმ. ადგ. ტალ. № 152	მუდმ. ადგ. ტალ. № 153
აიდა	**დაისი**	**მეფის საცოლე**

სალარო ღია დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი სეზონი 1938-39 წლისა

22 და 23 აპრილს

წარმოდგენა № 147, 148

ს. ნაიდენოვის

პრემიერა

ვანიუშინის ოჯახი

დრამა 4 მოქმ. თარგმანი ვ. გუნიასი

მონაწილეობენ: ალ. იმედაშვილი რესპ. სახ. არტისტი), ც. ამირეჯიბი, მ. გელაშვილი. ალ. გაბუნია, ს. ვაჩნაძე, თ. კიკნაძე, ნ. ოკრუაშვილი, თ. ტატიშვილი, მ. ფხაკაძე, ნ. ლეჟავა, მ. ყორყოლიანი, აკ. ძამრიკიშვილი, პ. უგრეხელიძე, მ. ხვანიძე, შ. ხონელი.

დადგმა ს. ოყრეშეიძისა, მხატვარი კ. სანაძე, მუსიკა თ. ვახვახიშვილისა, დირიჟორი ვ. მარგანიშვილი, რეჟ. თანაშემწე ვ. ჯიბუტი.

მორიგი პრემიერა: ძმ. ტურგენევის და შეინინის „ეგზენალური კონსული“. 1532

საწარმოთა და დაწესებულებათა საპირველმაისო დღესასწაულებისა მხატვრული მომზ ხერების.

საქართველოს სახელმწიფო ესტრადა

20 აპრილიდან ღამეულობს შეკვეთებს კონცერტებზე საპირველმაისო დღესასწაულებთან დაკავშირებით.

საქ. სახესტრადა გაცნობებთ, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილების თანახმად მსახიობები ვალდებული არიან გამოვიდნენ კონცერტებზე მხოლოდ სახესტრადის საგზურებით

საწარმო-დაწესებულებათა მიერ სახესტრადის გეგმის გარეშე მოწყობილი კონცერტები გარანტირებული არ იქნება არტისტული ძალებით.

ბილეთთა მიიღება სახესტრადაში, პლეხანოვის პროსპ. 128 ტელ. № 3-02-29.

300 **დირექცია.**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სრული საშუალო მუსიკალური სკოლა-თბილისი

ამით აცხადებს, რომ სასწავლებელში შემოსვლის შესახებ **განცხადებათა მიღება წარმოებს 25 აპრილიდან 10 მაისამდე**

ფორტეპიანოს, ვიოლინოს, ჩელოს და სასულე ინსტრუმენტების კლასებში.

განცხადებას უნდა დაერთოს: მეტრიკული ამონაწერი, ჯანმრთელობის მოწმობა და 2 ფოტოსურათი.

მისაღები გამოცდები: 26 მაისიდან 4 ივნისამდე.

დაწვრილებითი ცნობები: ათზლედის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქუჩა, № 8 ოთახი № 4).

1514 2—1 **დირექცია.**

დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ, შვილები შოთა, ნინო პატარა ალეკოთი, თამარ, ჩიტო იუწყებიან